saapelacio
saCivari
administraciul saqmeze

თბილისის სააპელაციო
სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა
პალატას

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

apelanti: *შენიშვნა-1*

საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტრო

თბილისი, სანაპიროს ქ. N4

სახელი, გვარი (სახელწოდება) პირადი (საიდენ.) ნომერი ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *შენიშვნა-2*

ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-3* სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. სამსახურის ტელ. მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

apelantis warmomadgeneli: *შენიშვნა-4*

თეიმურაზ მეშველიანი

სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი პირადი ნომერი ძირითადი მისამართი

თბილისი, სანაპიროს ქ. N4

ალტერნატიული მისამართი სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

5 96 689689

სახლის ტელ. სამსახურის ტელ. მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

mowinaaRmdege mxare: *შენიშვნა-5*

1. ასოციაცია მწვანე ალტერნატივა.
2. დავით სახვაძე

1. ს/კ 204952676
2. პ/ნ 60001004285

1. თბილისი. ფალიაშვილის ქ. N27/29, ბინა N13.
2. თბილისი. საიათნოვას ქ. N1

სახელი, გვარი (სახელწოდება) პირადი (საიდენ.) ნომერი ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *შენიშვნა-6*

ალტერნატიული მისამართი სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. სამსახურის ტელ. მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

sakontaqto piri: *შენიშვნა-7*

სახელი, გვარი სახლის ტელ. მობილური ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-8

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge

სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

sasamarTloSi dasabarebel pirTa sia

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-9*

სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-10

gasaCivrebuli gadawyvetileba

შენიშვნა-11

სასამართლოს დასახელება: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

განმხილველი მოსამართლე: ინგა კვაჭანტირაძე

საქმის ნომერი: 3/3877-13.

მიღების თარიღი: 2014 წლის 13 ივნისი.

gadawyvetilebas vasaCivreb:

srulad ☒

nawilobriv ☐

რომელ ნაწილში?

შენიშვნა-12

saapelacio moTxovna:

დაკმაყოფილდეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელეებს უარი ეთქვათ სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

შენიშვნა-13

gasaCivrebuli gadawyvetilebis faqtobrivi usworobebi

შენიშვნა-14 *შენიშვნა-15*

1. ფაქტობრივი უსწორობა

მტკიცებულება:
ა.

2. ფაქტობრივი უსწორობა

მტკიცებულება:
ა.

axali faqtobrivi garemoebebi

შენიშვნა-16 *შენიშვნა-17* *შენიშვნა-18*

1. ახალი ფაქტობრივი გარემოება

მიუთითებლობის საპატიო მიზეზი

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

...

gasaCivrebuli gadawyvetilebis gauqmebis absoluturi safuZvlebi

შენიშვნა-19

მონიშნეთ, თუკი არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ერთი ან რამდენიმე ქვემოთ მოცემული აბსოლუტური საფუძველი:

- ☐ საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ;
- ☐ სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით;
- ☐ სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას;
- ☐ გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება;
- ☐ გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები;
- ☒ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული;
- ☒ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;
- ☐ გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი;
- ☐ გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, ვინც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ;
- ☐ საქმეში არ არის პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმი.

დასაბუთება: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული. მიგვაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება სამართლებრივად საკმარისად არ არის დასაბუთებული, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა.

gasaCivrebuli gadawyvetilebis samarTlebrivi usworobebi

შენიშვნა-20 *შენიშვნა-21*

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით მოსარჩელეების ასოციაცია მწვანე ალტერნატივისა და დავით სახვაძის სასარჩელო მოთხოვნები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი შემდეგი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები: 1. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 3 ივლისის N03/108 ბრძანება; 2. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 8 აგვისტოს N03/130 ბრძანება; 3. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 3 ოქტომბრის N1430 განკარგულება; 4. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 ოქტომბრის N1433 განკარგულება; 5. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 ოქტომბრის N1435 განკარგულება; 6. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის N1436 განკარგულება. ამასთან, სასამართლოს გადაწყვეტილებით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაევალა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ახალი აქტის გამოცემა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება არის დაუსაბუთებელი, უსაფუძვლო და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერება გულისხმობს აქტის გამოცემას უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სათანადო ადმინისტრაციული წარმოების წესის გამოყენებით, ამასთან აქტი სამართლებრივად უნდა იყოს დასაბუთებული და შეიცავდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლით განსაზღვრულ ყველა რეკვიზიტს. აქტის მატერიალური კანონიერება კი გულისხმობს, აქტის შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან და სამართლის ზოგად პრინციპებთან. სასამართლოს მიერ ბათილად ცნობილი აქტები, გამოცემული იყო კანონის სრული დაცვით და მათი გამოცემისას არ ყოფილა უგულვებელყოფილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არც მატერიალური და არც ფორმალური კანონიერება.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის N03/82 ბრძანებით შეიქმნა ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისია", რომელსაც დაეკალა შეესწავლა ობიექტისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების სამართლებრივი საფუძვლები და აღნიშნულ ობიექტზე ჩატარებული სამთო არქეოლოგიური კვლევები, რაც უძველესი ოქროს მაღაროს შესაძლო არსებობას დაადასტურებდა.

,,საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს" კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის N3/133 ბრძანებით ,,საქართველოს სსრ 1997 წლის კანონის ,,ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ" მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისთვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე". შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გამოცემული იყო მხოლოდ იმ მოტივით, რომ 1999 წლის 25 ივნისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი ,,კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" რომლის 77-ე მუხლის თანახმად, ძალადაკარგულად გამოცხადდა მანამდე მოქმედი საქართველოს სსრ 1977 წლის კანონი ,,ისტორიისა და კულტურული ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ", რის შედეგადაც ნორმატიული აქტების შესახებ 1996 წლის საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების გათვალისწინებით, ძალადაკარგულად ჩაითვალა ყველა ის კანონქვემდებარე აქტი, რომელთა გამოცემაც მოხდა 1997 წლის ,,ისტორიისა და კულტურული ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ" საქართველოს სსრ კანონის საფუძველზე, მათ შორის ის აქტები, რომელთა მიხედვით კონკრეტული ობიექტები გამოცხადდნენ ისტორიისა და კულტურის ძეგლებად, კერძოდ: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 19 ივლისის N212, 1982 წლის 6 მაისის N339, 1983 წლის N274, 1985 წლის 20 მარტის N179, 1986 წლის 14 ნოემბრის N706, 1989 წლის 5 მაისის N212 დადგენილებები, ქალაქ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1988 წლის 10 მარტის N06.22.185. გადაწყვეტილება, ქალაქ ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1987 წლის 14 აგვისტოს და 21 აგვისტოს N748 და N430 დადგენილებები, ასევე ქალაქ

თბილისის მთავრობის 1999 წლის 25 მარტის N01.19.19. დადგენილება. იმის გამო, რომ ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ ობიექტებს არ ჰქონდათ დაკარგული მხატვრული და კულტურული ღირებულება, ,,საქართველოს სსრ 1997 წლის კანონის ,,ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ" მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის N3/133 ბრძანებით მათ მიენიჭათ (პრაქტიკულად კი აღუდგათ) კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი ამავე ბრძანების დანართში მოყვანილი ნუსხის მიხედვით. მოცემულ დანართში, ბოლნისის რაიონის ობიექტების ნუსხაში აღმოჩნდა აგრეთვე ,,საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროც", თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბრძანების გამოცემის მომენტისთვის ხსენებული ობიექტი არცერთ ზემოაღნიშნულ ძალადაკარგულ სამართლებრივ აქტში არ იყო აღნუსხული როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. შესაბამისად ,,საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს" დანართში მოხვედრა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის N3/133 ბრძანების მიზნებს, რადგან ობიექტი არ წარმოადგენდა ბრძანების რეგულირების საგანს და აბსოლუტურად უსაფუძვლოდ, ყოველგვარი სამართლებრივი წინაპირობების გარეშე შეტანილ იქნა ზემოთხსენებულ სამართლებრივ აქტში.

აღნიშნული ქმედება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის დარღვევაა, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს და დაუშვებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. ასევე დარღვეულია იმ დროს მოქმედი ,,კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებდა, რომ ძეგლის სტატუსი უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტს უნდა მინიჭებოდა მხოლოდ კომისიის დასკვნის საფუძველზე, რაც ფაქტობრივად არ განხორციელებულა. შესაბამისად აშკარაა, რომ ,,საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს" კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მინიჭებული აქვს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და ,,კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესების დარღვევით. აქედან გამომდინარე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო არა მხოლოდ უფლებამოსილი, არამედ ვალდებულიც იყო დაეცვა კანონმდებლობა და ბათილად ეცნო კანონდარღვევით მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რაც განახორციელა კიდეც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის N03/108 ბრძანების გამოცემით.

მცდარია სასამართლოს მითითება იმ გარემოებაზე, რომ მინისტრის ბრძანებით შექმნილი კომისია არ იყო უფლებამოსილი ემსჯელა კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხთან დაკავშირებით და რომ მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო იყო უფლებამოსილი ემსჯელა და მიეღო შესაბამისი დასკვნა. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის N03/82 ბრძანებით

შექმნილმა კომისიამ იმსჯელა არა კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ, არამედ კომისიამ შეაფასა ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, რომელიც არსებობდა 2006 წელს, ,,საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროსთვის" ძეგლის სტატუსის მინიჭების პერიოდში. სამინისტრო ასევე არ ეთანხმება სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ აღნიშნულ საკითხზე უნდა ემსჯელა და დასკვნა მოემზადებინა არა მინისტრის მიერ შექმნილ კომისიას, არამედ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 22 ოქტომბრის N3/192 ბრძანებით დამტკიცებული ,,კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების" თანახმად, საბჭო დაკომპლექტებული იყო დარგის ექსპერტებითა და საზოგადო მოღვაწეებით. საბჭოს ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭებისა და სტატუსის მოხსნის შესახებ დასკვნის მომზადება. ამავე დროს, ,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონი (სადავო აქტის გამოცემის პერიოდში მოქმედი რედაქცია) ითვალისწინებდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისათვის სტატუსის მოხსნას იმ შემთხვევებში თუ ის განადგურდებოდა ან ისე დაზიანდებოდა, რომ დაკარგავდა ისტორიულ ან კულტურულ ღირებულებებს, რომლის აღდგენა შეუძლებელია, ან მეცნიერული (მეთოდოლოგიური) კრიტერიუმებით დაკარგავდა იმ ძირითად მახასიათებლებს რის გამოც მან დაკარგა ძეგლის სტატუსი. ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო, ძეგლისთვის სტატუსის მოხსნაზე მსჯელობდა მხოლოდ მეცნიერული, მეთოდოლოგიური კუთხით და ამზადებდა დასკვნას ძეგლის სტატუსის მოხსნაზე იმ შემთხვევაში თუ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი დაკარგავდა ისტორიულ და კულტურულ ღირებულებას. მოცემულ შემთხვევაში კი, მოხდა არა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნა მისი განადგურების ან დაზიანების გამო, არამედ სამინისტრომ შეაფასა იმ ადმინისტრაციული აქტის კანონშესაბამისობა, რომლის საფუძველზეც, საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს" მიენიჭა უძრავი ძეგლის სტატუსი. აღნიშნული პროცედურა კი რეგულირდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60 პრიმა მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ხოლო ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, კანონდარღვევით გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის უფლება აქვს მის გამომცემ ორგანოს. აქედან გამომდინარე, იმ პირობებში როდესაც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის N03/108 ბრძანებით მოხდა უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა შესაბამისი კომისიის დასკვნის საფუძველზე, სასამართლოს მოცემულ საქმეზე უნდა მიეღო სხვაგვარი გადაწყვეტილება და უარი უნდა ეთქვა მოსარჩელეებისთვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

ამდენად, გთხოვთ გააუქმოთ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით უარი უთხრათ მოწინააღმდეგე მხარეებს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

mtkicebiTi Suamdgomlobebi

შენიშვნა-22

მოწმე	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი
ექსპერტი	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი
სპეციალისტი	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი

შენიშვნა-23

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, ახალ მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობის თაობაზე.
1.

შენიშვნა-24

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.
1.

შენიშვნა-25

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
1.

შენიშვნა-26

sxva saxis Suamdgomlobebi

შენიშვნა-27

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?

diax ☐ ვის? რომელი ენის მცოდნე?

ara ☒

...

saCivris fasi — lari

შენიშვნა-28

saxelmwifo baJi — lari

შენიშვნა-29

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი

სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხაზინის ერთიან ანგარიშზე:
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის №: 200122900 (იხ. სახაზინო კოდები)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან? დიახ ☒ არა ☐
რომელი ნორმა? „სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „უ" ქვეპუნქტის თანახმად
მტკიცებულება:
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას? დიახ ☐ არა ☐
რის საფუძველზე?
მტკიცებულება:
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას? დიახ ☐ არა ☐
რის საფუძველზე?
მტკიცებულება:
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას? დიახ ☐ არა ☐
რის საფუძველზე?
მტკიცებულება:
შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე:
5.

შენიშვნა-30

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის. სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება. მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია: » რთულადგანჭვრეტადი შედეგი; » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი; » სასამართლო ხარჯები; » სასამართლოსგარეშე ხარჯები; » ყოველდღიური ხარჯები.

Tanaxma xarT Tu ara, rom saqme daamTavroT morigebiT?

diax ☐ მორიგების პირობები:

ara ☐ რადგან

შენიშვნა-31

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

diax ☐

ara ☒ რადგან

შენიშვნა-32

რა დრო დაგჭირდებათ საქმის ზეპირ განხილვაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

I სხდომაში რადგან

შენიშვნა-33

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

diax ☐

ara ☒ რადგან

შენიშვნა-34

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი: 00:00 - 10:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

diax ☐

ara ☒ რადგან

შენიშვნა-35

TandarTuli sabuTebis nusxa

შენიშვნა-36 *შენიშვნა-37*

დანართი 1: მინდობილობა

ფურცლების საერთო რაოდენობა: 1

...

saapelacio saCivris formaluri gamarTuloba

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სააპელაციო საჩივრის ფორმალურ გამართულობას. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

		დიახ	არა
1.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სააპელაციო საჩივარი.	☒	☐
2.	მითითებულია თქვენი (აპელანტის), თქვენი (აპელანტის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	☒	☐
3.	მითითებულია თქვენი (აპელანტის), თქვენი (აპელანტის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	☒	☐
4.	მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	☐	☒
5.	მითითებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი დასახელება.	☒	☐
6.	მითითებულია, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული.	☒	☐
7.	მითითებულია სააპელაციო მოთხოვნა.	☒	☐
8.	მითითებულია სააპელაციო საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხა.	☒	☐
9.	სააპელაციო საჩივარს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	☒	☐
10.	სააპელაციო საჩივარს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	☒	☐
11.	მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.		
12.	სააპელაციო საჩივარს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სააპელაციო საჩივარი შეაქვს წარმომადგენელს).	☒	☐
13.	სააპელაციო საჩივარი ხელმოწერილია.	☒	☐
14.	სააპელაციო საჩივარი და თანდართული საბუთები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენი მონაწილეც არის საქმეში.	☒	☐

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის

სააპელაციო საჩივარი ფორმალურად გამართულია:	სააპელაციო საჩივარი ფორმალურად არაა გამართული:	*ხელმოწერა*	*სახელი და გვარი*
☐	☐ *პუნქტების ჩამონათვალი*		

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	თეიმურაზ მეშველიანი	01.08.2014
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი, გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

შენიშვნა-38